სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/20

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხის, შრომის ანაზღაურების ოდენობის, პირობებისა და დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ.ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-04/92 დადგენილების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 6 ივნისის №0000634202 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 6 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხა, შრომის ანაზღაურების ოდენობა, პირობები და დატვირთვის ზღვრული ოდენობა (იხ. დანართი);
2. აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდეს 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**